22/12/2025

MES 2 25 0001813403

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომის ოქმი

ქ. თბილისი

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომას ესწრებოდნენ:

1. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს (შემდგომში - საბჭო) წევრები:
ეკატერინე წიფურია - სსიპ - გალაკტიონ ტაბიძის სახელობის ქალაქ თბილისის №51 საჯარო სკოლის დირექტორი, საბჭოს თავმჯდომარე;
თამარ მამსიკაშვილი - აზიის განვითარების ბანკის პროგრამის ,,თანამედროვე უნარები უკეთესი დასაქმების სექტორის განვითარებისთვის" სკოლების გაძლიერების სპეციალისტი, საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე;
ნინო ბერიკაშვილი - სსიპ - მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი, ,,არაქართულენოვანი სკოლების მხარდაჭერის" ქვეპროგრამის მენეჯერი, საბჭოს მდივანი;
პეტრე ბაბილუა - შპს - „ევროპული სკოლის" მათემატიკის დეპარტამენტის ხელმძღვანელი, საბჭოს წევრი;
დავით მალაზონია- შპს - „თანამედროვე განათლების აკადემია - სკოლა და ბაღის"დირექტორი, საბჭოს წევრი;
მანანა თურქაძე - შპს ,,ინტერნაციონალური მაარიფის სკოლები საქართველოში" დირექტორთა საბჭოს წევრი და მთავარი მრჩეველი განათლების საკითხებში, საბჭოს წევრი;
ნონა ჩუბინიძე - სსიპ - ქალაქ ქუთაისის №14 საჯარო სკოლის დირექტორი;
დავით კახნიაშვილი - შპს - „თბილისის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლა-ლიცეუმ მწიგნობართუხუცესის" დირექტორი, ა(ა)იპ - „არასამთავრობო (კერძო) სასწავლებლების ასოციაციის" თავმჯდომარე, საბჭოს წევრი;
ეკატერინე გურგენაშვილი - სსიპ - მერაბ კოსტავას სახელობის ქალაქ თელავის №4 საჯარო სკოლის მასწავლებელი, 2024 წლის მასწავლებლის ეროვნული პრემიის გამარჯვებული, საბჭოს წევრი;
ირმა ამირანაშვილი - შპს - ,,ქორალის" ხარისხის მართვის მენეჯერი, საბჭოს წევრი;
კახაბერ ჩაკვეტაძე - სსიპ - წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფელ ქვიტირის საჯარო სკოლის მასწავლებელი, საბჭოს წევრი;
თეა სვიმონიშვილი - სსიპ - ქალაქ თბილისის №12 საჯარო სკოლის მასწავლებელი, საბჭოს წევრი;

ქეთევან ნატროშვილი - შპს - ,,ქართული სასწავლებელი - თბილისის“ დირექტორის მოადგილე, საბჭოს წევრი.

2. სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) წარმომადგენლები:

ელენე ცირამუა - ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მთავარი სპეციალისტი;
თამარ ფიფია - ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი;
ქეთი მუთიძე - ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი.

3. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების წარმომადგენლები:

სსიპ - სიღნაღის მუნიციპალიტეტის სოფელ ბოდბის საჯარო სკოლა:
თინათინ ლეკიაშვილი - სკოლის დირექტორი

4. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის ექსპერტები (შემდგომში ექსპერტები):

სსიპ - სიღნაღის მუნიციპალიტეტის სოფელ ბოდბის საჯარო სკოლა
ა) ნანა მონიავა (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, თავმჯდომარე);
ბ) ირმა ხუციშვილი (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, წევრი).

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ (შემდგომში - დებულება) მე-17 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომას წარუძღვა საბჭოს თავმჯდომარე, ეკატერინე წიფურია. საბჭოს სხდომა 2025 წლის 09 დეკემბერს ჩატარდა ონლაინ რეჟიმში (Zoom-ის ონლაინ პლატფორმის საშუალებით). სხდომა დაიწყო 14:30 საათზე. საბჭოს თავმჯდომარემ შეამოწმა საბჭოს წევრთა რაოდენობა და დაადგინა, რომ დებულების მე-17 მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, სხდომა უფლებამოსილია, რადგან ესწრება საბჭოს წევრთა სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი.
ცენტრის წარმომადგენელმა საბჭოს წინაშე დააყენა შუამდგომლობა სხდომის მიმდინარეობის აუდიო ჩაწერასთან დაკავშირებით სხდომის ოქმის მომზადების მიზნით. მან აქვე განმარტა, რომ აუდიო ჩანაწერი განადგურდებოდა ოქმის პროექტის მომზადებისთანავე. საბჭოს სხდომაზე დამსწრე პირებმა გაიზიარეს აღნიშნული შუამდგომლობა.
საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიუთითა დებულების მე-20 მუხლის მე-7 პუნქტის მოთხოვნაზე, რომლის მიხედვითაც, საბჭოს წევრი არ არის უფლებამოსილი თავი შეიკავოს ხმის მიცემისაგან.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გააცნო დღის წესრიგი:
1.სსიპ - სიღნაღის მუნიციპალიტეტის სოფელ ბოდბის საჯარო სკოლაში განხორციელებული მონიტორინგის შედეგების განხილვა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ცენტრის წარმომადგენლებსა და დაინტერესებულ მხარეებს, დღის წესრიგთან დაკავშირებით ხომ არ ჰქონდათ რაიმე შუამდგომლობა.
დღის წესრიგთან დაკავშირებით რაიმე სახის შუამდგომლობა არ იქნა წარმოდგენილი და შესაბამისად, დღის წესრიგი დამტკიცდა წარმოდგენილი სახით.

1. სსიპ - სიღნაღის მუნიციპალიტეტის სოფელ ბოდბის საჯარო სკოლაში განხორციელებული მონიტორინგის შედეგების განხილვა

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს თავმჯდომარემ, ეკატერინე წიფურიამ, დაწესებულებების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ. საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას და დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას დასკვნის პროექტთან მიმართებით. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს მდივანს სთხოვა, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.
ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა, საბჭოს სხდომაზე, წარადგინა ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტმა, ნანა მონიავამ. ექსპერტმა განაცხადა, რომ დაწესებულებაში ავტორიზაციის პირობების შესრულების შემოწმების მიზნით, გეგმიური მონიტორინგის ვიზიტი განხორციელდა 2025 წლის 09 და 10 ოქტომბერს, ცენტრის დირექტორის ბრძანების საფუძველზე. სკოლა ახორციელებდა ზოგადი განათლების დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამებს, ქართულ ენაზე. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2023 წლის 18 სექტემბრის N1179237 გადაწყვეტილების თანახმად, დაწესებულებას მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვრა 90 მოსწავლით, ხოლო ვიზიტის დროს აქტიურ მოსწავლეთა რაოდენობა იყო 63.
ექსპერტმა, ნანა მონიავამ, განმარტა, რომ ექსპერტთა ჯგუფს, ცენტრის დირექტორის ბრძანების საფუძველზე, დაევალა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის 1-ელი (სკოლის ფილოსოფია), მე-3 (სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა) და მე-4 (მოსწავლეთა მხარდაჭერა) სტანდარტების შეფასება. მისი თქმით 1-ელი სტანდარტი შეფასდა როგორც „არ შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს“, ვინაიდან კომპონენტები 1.1 და 1.2 შეფასდა როგორც „არ შეესაბამება“, მე-3 სტანდარტი შეფასდა „მეტწილად“, ვინაიდან კომპონენტები 3.1, 3.4 და 3.6 შეფასდა „მეტწილი“ შესაბამისობით, მე-4 სტანდარტი კი შეფასდა, როგორც „შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს“.
ექსპერტმა აღნიშნა, რომ დაწესებულების მიმართა დაფიქსირდა ხარვეზები, ასევე გაიცა რეკომენდაციები და რჩევები, რომლებიც დეტალურად აღწერილი იყო ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში.
ექსპერტმა ისაუბრა დაფიქსირებულ ხარვეზებზე და აღნიშნა, რომ სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებების შემუშავებაში სასკოლო საზოგადოება არ იყო ჩართული, ასევე არ გაზიარებულა სასკოლო საზოგადოების მიერ. ექსპერტის თქმით, ვერ დადგინდა სკოლის მიერ წარმოდგენილი 2024-2025 წლის სამოქმედო გეგმისა და გეგმის შესრულების ანგარიშის შესაბამისობა, არ იყო უზრუნველყოფილი სკოლის მიერ წარმოდგენილი სამოქმედო გეგმის საჯაროობა, ასევე სკოლას 2024-2025 წლის სამოქმედო გეგმის შესრულების შედეგები ხალი სამოქმედო გეგმის შემუშავების პროცესშიარ ჰქონდა გამოყენებული.

ექსპერტმა ისაუბრა ავტორიზაციის პროცესში გაცემული რეკომენდაციების შესრულების სტატუსზე და აღნიშნა, რომ შესრულებული იყო შემდეგი რეკომენდაციები:

- „სკოლამ უზრუნველყოს ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებზე ორიენტირებული მისიის და ხედვის შემუშავება;
- სკოლამ უზრუნველყოს სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შემუშავების მეთოდოლოგიის შედგენა;
- სკოლამ უზრუნველყოს სტრატეგიული გეგმის შემუშავება;
- სკოლამ უზრუნველყოს სამოქმედო გეგმის შემუშავება სრულყოფილი ფორმით, სადაც მითითებული იქნება „შესრულების გაზომვადი ინდიკატორები“ და „რესურსები“;
- სკოლამ უზრუნველყოს სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგიის შემუშავება;
- სკოლამ შეადგინოს დოკუმენტი, რომელიც განსაზღვრავს სკოლის ყველა თანამშრომლის საკვალიფიკაციო მოთხოვნებს;
- სკოლამ შეადგინოს დოკუმენტი, რომელიც განსაზღვრავს სკოლის თანამშრომელთა პროფესიული საჭიროებების დადგენის მექანიზმს;
- სკოლამ შეადგინოს ხარისხის უზრუნველყოფის მართვის დოკუმენტი;
- სკოლამ შეადგინოს საქმისწარმოების ერთიანი წესი;
- სკოლამ უზრუნველყოს ვებ. გვერდის ადმინისტრირება და მასზე სტანდარტით განსაზღვრული ინფორმაციის განთავსება;
- სკოლამ უზრუნველყოს ვებ. გვერდის ადმინისტრირება და მასზე სტანდარტით განსაზღვრული ინფორმაციის განთავსება.“

ექსპერტმა, ნანა მონიავამ, აღნიშნა, რომ დაწესებულებას შესრულებული არ ჰქონდა შემდეგი რეკომენდაციები:

- „სკოლამ უზრუნველყოს სკოლის მისიის, ხედვის დ ღირებულებების შედგენა სასკოლო საზოგადოების ჩართულობით;
- სკოლამ უზრუნველყოს სკოლის მისიის, ხედვისა და ღირებულებების გაზიარება სასკოლო საზოგადოებასთან;
- სკოლის თანამშრომლებმა უზრუნველყონ ცნობები წარმოდგენა სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის ჩადენისთვის ნასამართლობის შესახებ ასევე, ცნობები უფლების ჩამორთმევის შესახებ;
- სკოლამ უზრუნველყოს საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმის შეთანხმება შესაბამის სამსახურთა და მისი დამტკიცება, ასევე, მოიპოვოს დასკვნა სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ;
- სკოლამ უზრუნველყოს ვებ. გვერდის ადმინისტრირება და მასზე სტანდარტით განსაზღვრული ინფორმაციის განთავსება.“

ექსპერტმა წარმოადგინა სკოლის შენობის ამსახველი ფოტო - მასალა და აღნიშნა, რომ დაწესებულებაში შექმნილი იყო კეთილმოწყობილი და ადაპტირებული გარემო. მისი თქმით, სკოლის შენობა იყო ახლადრეაბილიტირებული.
საბჭოს თავმჯდომარემ, ეკატერინე წიფურიამ, აღნიშნა, რომ 3.6.3.5 ინდიკატორთან მიმართებით შესაბამისობის გეგმის თანახმად, ვებ-გვერდზე დოკუმენტების განთავსებისთვის სკოლას გაწერილი ჰქონდა 2026 წლის 24 ნოემბერი და დაინტერესდა, რატომ ესაჭიროებოდა სკოლას ერთი წელი ინფორმაციის განთავსებისთვის.
საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე, თამარ მამსიკაშვილი დაინტერესდა, რა იყო სკოლისთვის ხელისშემშლელი ფაქტორი, რის გამოც ვერ შეასრულეს ავტორიზაციის დროს მიღებული რეკომენდაციების ნაწილი.

სკოლის დირექტორმა, თინათინ ლეკიაშვილმა, განმარტა, რომ მონიტორინგის

ადმინისტრაციული პროცესი სკოლისთვის იყო მხარდამჭერი. მისი თქმით, დაწყებული ჰქონდა ექსპერტთა ჯგუფის მხრიდან გამოვლენილ ხარვეზებსა და რეკომენდაციებზე მუშაობა. აქვე, დასძინა, რომ ავტორიზაციის პროცესში იგი არ იყო სკოლის დირექტორი და რიგ რეკომენდაციათა შეუსრულებლობა გამოწვეული იყო ამ მიზეზით.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ დამატებითი შეკითხვები სკოლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან.

საბჭოს წევრებს შეკითხვები არ ჰქონდათ.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - სიღნაღის მუნიციპალიტეტის სოფელ ბოდბისსაჯარო სკოლის მონიტორინგთან დაკავშირებით ადმინისტრაციული წარმოების შეწყვეტის შესახებ საკითხი.
ცენტრის წარმომადგენელმა, საბჭოს წინაშე დააყენა შუამდგომლობა, ადმინისტრაციული წარმოების ვადების გათვალისწინებით, საბჭოს მიერ მიღებული გადაწყვეტილების ძალაში შესვლის თარიღად განსაზღვრულიყო 2025 წლის 09 დეკემბერი.

ფარული კენჭისყრის მიზნით, საბჭოს სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება.

დაწყების დრო: 14:51
დასრულების დრო: 15:05

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე- 13
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიციის, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 27-ე მუხლის შესაბამისად, შეწყდეს ადმინისტრაციული წარმოება სსიპ - სიღნაღის მუნიციპალიტეტის სოფელ ბოდბის საჯარო სკოლის (სკ/: 240412781) მონიტორინგთან დაკავშირებით.
გადაწყვეტილების ძალაში შესვლის თარიღად განისაზღვროს 2025 წლის 09 დეკემბერი.

საბჭომ დაწესებულებას განუსაზღვრა რეკომენდაციები და რეკომენდაციების შესრულების პროგრესის შესახებ ცენტრის ინფორმირების ვალდებულება:

2025 წლის დეკემბერში თანამშრომელთა კანონმდებლობით გათვალისწინებული ცნობების, 2026 წლის სექტემბერში პერსონალის მართვის პოლიტიკის დოკუმენტის რევიზიის, საერთო სარგებლობის სივრცეებსა და კიბის უჯრედებში ვიდეო-სამეთვალყურეო კამერების დამონტაჟების, მრჩეველთა საბჭოს შექმნის, ვებ-გვერდზე სკოლის სრულყოფილი სტრუქტურის, ჩარიცხვის პროცედურების, ფინანსური ანგარიშის გამოქვეყნების, სკოლის მისიის, ხედვისა და ღირებულებების შემუშავებაში სასკოლო საზოგადოების ჩართვისა და გაზიარების, სამოქმედო გეგმისა და გეგმის ანგარიშის შესაბამისობის, სამოქმედო გეგმისა და

მისი განხორციელების შედეგების საჯაროობის, ასევე, შესაბამისი მტკიცებულებების მოპოვებისთანავე შენობა-ნაგებობის სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ დასკვნისა და შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნის და წარმოდგენა სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში.

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების განხილვის შემდგომ, 15:10 საათზე საბჭოს სხდომა დასრულებულად გამოცხადდა.

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული
ცენტრი
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების
ავტორიზაციის საბჭო
საბჭოს მდივანი
ბერიკაშვილი ნინო

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული
ცენტრი
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების
ავტორიზაციის საბჭო
საბჭოს თავმჯდომარე
წიფურია ეკატერინე

ელექტრონული ვერსია
ეროვნული ბიბლიოთეკა